ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 39

" 27 " ივლისი 2009 წ.

31 07 2009
010260030.38/01.013 357

„ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის №13 ბრძანებაში დამატებების შეტანის თაობაზე

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. "ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის №13 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის დამატებები:

ა) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ" პუნქტი:

„ზ) ზედამხედველობის განყოფილება.";

ბ) მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7) ზედამხედველობის განყოფილების კომპეტენციაა:

ა) უფლებამოსილი საქალაქო სამსახურების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, სოციალური მომსახურებისა და კულტურის საკითხებში საქალაქო სამსახურისათვის დაქვემდებარებული დაწესებულებების ზედამხედველობა და კონტროლი;

ბ) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სოციალური მომსახურებისა და კულტურის სფეროს საკითხებში, საქალაქო სამსახურისათვის დაქვემდებარებული დაწესებულებებიდან, შესაბამისი ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფა;

გ) მიღებული ინფორმაციის შედეგებისა და ანალიზის შედეგების წარდგენა საქალაქო სამსახურის უფროსისათვის."

2. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154

01/23/11- 7299

030809

2

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს
ბატონ დავით კერესელიძეს

ბატონო დავით,

„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 ივლისის №154 დადგენილების შესაბამისად, დანართის სახით გეგზავნებათ „ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის №13 ბრძანებაში დამატებების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მერის 2009 წლის 27 ივლისის №39 ბრძანება (1 ფურცელზე).

ამასთან, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ბრძანების მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

დიმიტრი ძაგნიძე

მინისტრის მოადგილე

30.07.09

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია

№ 06-7/7513
"27" 07 2009

28.07.09.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციოდ გეგზავნებათ:

ქ. თბილისის მერის 2009 წლის 27 ივლისის №39 ბრძანება „ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის №13 ბრძანებაში დამატებების შეტანის თაობაზე."

დანართი 2 დედანი, 2 ასლი და ელექტრონული ვერსია

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის
უფროსის მოადგილე - იურიდიული
სამსახურის უფროსი ირაკლი აბესაძე

საქართველოს
ადმინისტრაციის
ადმინისტრაციული
"27" 07 09
№ 01/20-4927

ქ. თბილისი 0160, შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154